

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 2

ქ. თელავი

2018 წლის 31 იანვარი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე შათირიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ვასილ არაბული, გიორგი ჩაბრაშვილი, უჩა
ჭოტიაშვილი, გურამი წულუკიძე, ლელა
მენტეშაშვილი, ლევანი ლილუაშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს:
თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი,
ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიაში
მოწვეული სპეციალისტი ზურაბ ენუქიძე, სივრცით
ტერიტორიული დაგეგმარების ინფრასტრუქტურის
და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული
სპეციალისტი დავით ნუსხელიძე, იურიდიულ
საქმეთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი მედეა
ჩაფურიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერის
მოადგილე ალექსანდრე საჩიშვილი

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N13 დადგენილებაში თელავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვა.

მომხს.ა.შათირიშვილი

2. „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ პროექტის განხილვა.

მომხს.ა.საჩიშვილი

3. „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „უსასყიდლო სარგებლობისუფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე“ პროექტის განხილვა

მომხს.ა.საჩიშვილი

მოისმინეს: „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N13 დადგენილებაში თელავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“ პროექტის შესახებ.

გადაწყვიტეს: პროექტი „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N13 დადგენილებაში თელავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“ წარედგინოს საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

მოისმინეს: „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ პროექტის თაობაზე.

აზრი გამოთქვას:

- ალექსანდრე შათირიშვილმა აღნიშნა რომ, წინა წლებში დასუფთავების მოსაკრებელი მოსახლეობისთვის ერთ სულზე განისაზღვრებოდა 0.50 ლარის ოდენობით, 4 სულზე ზევით 2.50 ლარი. დღეს პროექტში ტარიფი შეადგენს 1 სულზე 1.00 ლარს, 4 სულზე ზევით 4.00 ლარი. განმარტებით ბარათში არ არის ნათლად დასაბუთებული თუ რამ განაპირობა სერვისის მოსაკრებლის

ტარიფის ზრდა. არ არის განმარტებული მოსაკრებლის ამოღების მექანიზმი, ადმინისტრირების, ასევე არ განიხილება სოციალურად დაუცველი ფენის შეღავათების საკითხები.

- ზენუქიძემ კომისიას წარუდგინა ნარჩენების სერვისში არსებული მდგომარეობის ანალიზი, რომელიც მოიცავდა ხარჯების, შემოსავლებისა და დასადგენი ტარიფის ოდენობის საკითხებს. საიდანაც სჩანს რომ, მოსახლეობისთვის წარმოდგენილი ტარიფის შემთხვევაში, წლიური შემოსავალი მოსაკრებლიდან გამოიწვევს შემოსავლის გადამეტებას ხარჯებთან მიმართებით, რაც დაუშვებელია თვითმმართველობის კოდექსით, ამდენად მიზანშეწონილია რომ შენარჩუნებული იქნას ძველი ტარიფი. მოსაკრებლის ტარიფის ოპტიმიზაციისათვის მიზანშეწონილია გამოყენებული იქნეს USAID-ის მიერ დაფინანსებული „საქართველოს რეგიონებში ნარჩენების მართვის“ (WMTR) პროგრამით შემუშავებული რეკომენდაცია “საქართველოში ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფების და დანახარჯების ანაზღაურების სისტემის შემუშავების ზოგადი მეთოდოლოგია”.
- გიგა ორკოდაშვილი დაეთანხმა გამომსვლელთა მოსაზრებებს და დააყენა წინადადება რომ, რეკომენდაცია მიეცეს თელავის მუნიციპალიტეტის მერიას რათა აღნიშნულ პროექტში გაითვალისწინოს მოსახლეობისთვის მოსაკრებლის ძველი ტარიფი, ხოლო შემდგომში ტარიფის ოპტიმიზაციისა და მოსაკრებლის ამოღების მექანიზმის შემუშავებისას გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული რეკომენდაციები.

- გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის მერიამ პროექტში „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ გაითვალისწინოს მოსახლეობისთვის მოსაკრებლის ძველი ტარიფი, ხოლო შემდგომში ტარიფის ოპტიმიზაციისა და ამოღების მექანიზმის შემუშავებისას გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული რეკომენდაციები.

მოისმინეს: „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე“ პროექტის შესახებ.

აზრი გამოთვეს:

- ალექსანდრე შათირიშვილმა დააყენა წინადადება რომ, კოდექსთან მიმართ შეუსაბამია და დამუშავებას საჭიროებს ქონების გადაცემის ფორმა, რამდენადაც

დაუშვებელია უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში პირობის გამოყენება, ამასთან ერთად საჭიროა რომ განმარტებული იქნას თუ სად ასრულებს ს.ს. „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ გაზიფიცირების სამუშაოებს.

- მედეა ჩაფურიშვილმა დააყენა წინადადება, რომ ქონების გადაცემის ფორმის საკითხი განხილული იქნას იურიდიული კომისიის სხდომაზე.
- დავით ნუსხელიძე დაეთანხმა დაყენებულ მოსაზრებებს.

გადაწყვეტეს:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიას მიეცეს რეკომენდაცია რათა პროექტში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე“ განმარტებული იქნას ჩაშლილი ფორმით თუ სად ასრულებს ს.ს. „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ 50 000 ლარის გაზიფიცირების სამუშაოებს.

კომისიის თავმჯდომარე

ა. 

ალექსანდრე შათირიშვილი